საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/141 "29" ივლისი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ლ. მაღლაკელიძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 16 ივლისის №1/137 განკარგულებით ინიცირებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ პალატაში მოსამართლის 20 საშტატო ერთეულია, ხოლო უფლებამოსილებას 15 მოსამართლე ახორციელებს.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა ექვსი, მათ შორის მოსამართლე ლავრენტი მაღლაკელიძის განაცხადი. ლ. მაღლაკელიძეს აქვს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ მუშაობის 5-წლიანი გამოცდილება. ლ. მაღლაკელიძესთან ჩატარებული გასაუბრება, მისი სამუშაო გამოცდილება და აკადემიური მიღწევები ქმნის იმის წინაპირობას, რომ იგი შეძლებს წარმატებით განახორციელოს უფლებამოსილება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, ლავრენტი მაღლაკელიძე გათავისუფლდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლედ, 2021 წლის 17 აგვისტოდან.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე